ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 198

ქალაქი ქუთაისი 31 ივლისი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
რომან ქვაჩაკიძის უფლებამოსილების ცნობის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე–3 მუხლის მე–3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე–13 მუხლის 1–ლი, მე–2, მე–3 პუნქტებისა და 93–ე მუხლის მე–3 პუნქტის, N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2019 წლის 8 ივლისის №17/გ02 წერილობითი მომართვის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს გამოკლებული წევრის, გიორგი უკლებას (საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) ადგილმონაცვლე რომან ქვაჩაკიძის საკრებულოს წევრად რეგისტრაციის შესახებ“ N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის N07/02/2019 განკარგულებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობილ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომან ქვაჩაკიძის უფლებამოსილება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით, მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია